F 263/3 N 13090

42

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 346 1918 წ. სამშაბათი. ოქტომბერი 1.

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

ბულგარეთმა დროებით ზავის წინადადებით მიმართა მოწინააღმდეგეებს. რეიხსტაგის მთავარ კომისიაში სტატს-სეკრეტარმა ფონ-ჰინტცემ აღნიშნა ბულგარეთის სერიოზული მდგომარეობა: მაგრამ ჩვენი და ავსტრიის ჯარი საქმეს გამოასწორებსო. ხმები, ბულგარეთის მინისტრ-პრეზ. დამოუკიდებლად გადასწყვიტა საზავო წინადადების საკითხიო.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე"

ფასი: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 4[illegible] კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—2.

თავზარდაცემული და ნუგეშ დაკარგული მეუღლე ალექსანდრა ზაქარიას ასული, შვილი შოთა, დები: მელანო, დარიკო და კესარია, ძმისწულნი: ლოლა, ქსენია და მიშა, ცოლის დები: ივლიტა კაკაბაძისა და ნინო გალუსტოვის ასული, ნათლია და ცოლის დისწული ანანია კაკაბაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, სექტემბრის 28-ს, უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ამბაკო ჩაკვეტაძე

პანაშვიდი ყოველდღე საკუთარ სახლში ქ. ხონში. გამოსვენება ბინიდან მოხდება სამშაბათს, ოქტომბრის 1-ლს, ნაშუადღევის სამ საათზე ხონის მაცხოვრის ეკლესიაში. დაასაფლავებენ იმავე დღეს იქვე სასაფლაოზე. 2073

მიხეილ ზაქარიას ძე და ტატიანა კონსტანტინეს ასული გალუსტოვები (პირველი ცოლის ძმა და მეორე დისწული) გულდათუთქულნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ დაუვიწყარ

ამბაკო ჩაკვეტაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ქ. ხონში მაცხოვრის ეკლესიის სასაფლაოზე, სამშაბათს, ოქტომბრის 1-ლს, ნაშუადღევის სამ საათზე. 2078

ბესარიონ მეტრეველი თავისი მეუღლით, ნათესავები და მეგობრები აუწყებენ ყველა ამხანაგ მეგობრებს

პეტრე მეტრეველის

გარდაცვალებას. მიცვალებული გამოსვენებული იქნება დღეს, ოქტომბრის 1-ლს, დილის 9 საათზე, არამიანცის საავადმყოფოდან. წირვა წმიდა ნინოს ეკლესიაში იქვე იქნება დაკრძალვაც. 2081

1918—19 წლის საოპერო სეზონი **სახელმწიფო თეატრი** დირექცია ნ. ლ. ლევიცკის

სამშაბათს, ოქტომბრის 1-ლს, **პიკოვაია დამა** ოპერა 3 მოქმედებად და 7 სურათად მუს. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. სკვარეცკისა, მოროზოვსკისა, იანსა, ოვსიანიკოვისა, ორლოვისა, ზასლავსკისა, ბ.ბ. ბერეზინი, ვრონსკი, ზუბარევი, დემიანენკო, კურბატოვი, ორლოვი, ორლიუკი, ვოლიანსკი. დირიჟორი სტოლერმანი. დასაწ. 8 ს. კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე.

ანონსი: ოქტომბრის 2-ს აიდა, 3-ს კარმენი, 4-ს დუბროვსკი. 1337

ტფილისის საოსტატო ინსტიტუტთან

არსებული უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი ამით აცხადებს, რომ სასწავლებელში უკვე დაიწყო მოწაფეთა მიღება. პირველ კლასში მიიღებიან გამოუცდელად ისინი, ვისაც პირველ დაწყებითი სასწავლებელი დაუსრულებია. დანარჩენ კლასებში ან შესაფერი მოწმობით, ან გამოცდით. სწავლა იწარმოებს ქართულად. სწავლის ფასი სამი თუმანია წელიწადში. თხოვნები მიიღება ყოველ დღე ინსტიტუტის კანცელარიაში დიდი მთავრის ქუჩა № 91, დილის 10 საათიდან 1 საათამდე. 1345

მე-II წელიწადი ვაჟთა და ქალთა გიმნაზია მე-II წელიწადი

ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.
ძხენეთას ქ. № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. [illegible] სამშაბათით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია ღიაა საღამოს 4—8 ს. **გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს.** კოლეგიური მეცადინეობა დაიწყება 2 ენკენისთვიდან.

გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

1917—1918 სამოსწ. წელს უკვე დაამთავრეს მოწაფეებმა პირველად კურსი („პირველი ვიპუსკი"). 2080

ცირკი „მოდერნი"

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, სამშაბათს, ოქტომბრის 1-ს, გაიმართება

პირველი გასტროლი ჰაერის მეფეთა

ცნობილი დასის სამი ეშმაკი. პირველად ტფილისში. მონაწილეობს აგრეთვე მთელი დასი. მუსიკის დასაწყისი 8 ს.. წარმოდგენის 8 ნახ ს. 074

განცხადება

სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილი ამით აცხადებს, რომ ტფილისის სამხედრო პირველ სურსათის მთავარ საწყობში ოქტომბრის 13-ს, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება 464 ფუთი ხორბლის მტვერი, 2026 ფუთი უვარგის ლანძილის წნილი, 250 ფუთი შაქრის მტვერი, 1720 ფუთი წიწაკა, 3214 ფუთი დაფნის ფოთოლი და 176 ფუთი ქამაყ-თევზი (Сельди), ხოლო ოქტომბრის 6-ს, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება მეორე სასურსათო მთავარსაწყობიდან 200 ფუთი ხორბლის მტვერი. საჯარო ვაჭრობა დაიწყება დილის 12 საათზე. დაწვრილებითი პირობების გება მსურველთ შეუძლიანთ გაიგონ ზემოხსენებულ საწყობებში და სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილში. 1347

⁂

გიყვარს შენ თეატრი,
უნივერსიტეტი?
რად გინდა რეკლამა,
ანდა ეტიკეტი?
იყიდე ბილეთი
უხვ-მომგებიანი,
იაფი, სულ ცოტა
ხუთ მანეთიანი!
იყავით ესთეტნი,
იყავით ღვთიანი,
რომ უფრო გიყვარდეს
თქვენი ცა მზიანი!
მერწმუნეთ იგია
მდიდარი, ჭკვიანი,
ვისაც ბილეთები
აქვს მომგებიანი!
იჩქარეთ, მამ ჯერ
არ არის გვიანი:
იყიდეთ ბილეთი
უხვ-მომგებიანი!

ტფილისი, ოქტომბერი 1.

დიდი მითქმა-მოთქმა პოლიტიკური [illegible] გამოიწვია [illegible] საზოგადოებაში ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარის ხან-ხოისკის მიმართვამ გერმანიის საელჩოსადმი, რომელიც უკანასკნელს სთხოვდა სხვა და სხვა მიზეზის გამო საქართველოს საშინაო საქმეში ჩარევას. ხან-ხოისკის შესახებ უკვე გამოითქვა ქართულ პრესაში აზრი, რომ მაგ იყო დაგმობილი მისი ნაბიჯი, როგორც შეუწყნარებელი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, როგორც დასაგმობი მეგობრულ და ზნეობრივ განწყობილების [illegible].

მაგრამ კიდევ უფრო აღმაშფოთებელი და დასაგმობია საქციელი იმ ავანტიურისტების, რომელნიც საქართველოს კალთას აღუზრდია და დღეს კიდამ კალთას, მრავალ მხრივ ტანჯულ საქართველოს, განადგურებას ჰპირიან თვით ჩვენივე მოქალაქენი. ჩვენი გონების წინაშე ბაგრატიონ-დავითაშვილების ყოვლად უღირსი და დასაგმობი საქციელია; [illegible] ეს მემამულე დღეს ისევ [illegible] დაუვიწყარ საქმეების გამოაშკარავებას, სათანადო გეგმაც შეუმუშავებია რაზმებით და ადმინისტრაციით, რომ 1917 წლის ღალა აიღოს გლეხ-კაცობიდან. მაგრამ ამაზე უფრო ცხადი ის არის, რომ ჩვენი ფეოდალების ნაშთებს ამ მიზნების განსახორციელებლად მიუმართავს, როგორც აღვნუსხეთ, არა კანონიერის საშუალებებისათვის, არამედ სულ უცხო ძალისათვის, რომელიც დღეს სდგას საქართველოში ჯარითა და ზარბაზნით. აი ეს ფეოდალური ნაშთიც ცდილობს ჩვენს ცხოვრებაში დღეს უცხო ელემენტი ჩარიოს, გამოიწვიოს ჩვენი რესპუბლიკისათვის ათასგვარი უსიამოვნება, შეიტანოს ხალხში ის ანარქია, რომლის ჩასაქრობად საჭირო გახდა რამდენიმე მილიონის დახარჯვა, შემოღება სიკვდილის სასჯელის და მსხვერპლად მიტანა არა ერთი და ორი ერთგული მამულიშვილებისა. აი დღეს ხსენებულ ჯგუფები, ნაძირალები ჩვენი ცხოვრებისა, ისევე ჰქმნიან ასეთსავე საძაგელ პირობებს მხოლოდ იმიტომ, რომ გაძარცვულ ჩვენი ხალხის [illegible] აიღონ გაუნაღდებლი ღალა 1917 წლისა.

დასაჯერებელია, ეს შავი მიზანი ჩვენი [illegible] კი ასეთს შავს მიზანს დაისახავენ, რომ საქართველოს რესპუბლიკამ, რომელმაც შესძლო წესიერების აღდგენა საქართველოში, რომელმაც ნორმალური ცხოვრების კალაპოტი ლამის არის აღადგინოს, ასეთი რესპუბლიკა ადვილად გასრესს და ჩააბშობს ყორნების ჩხავილს და მათ ფართფაში.

ძალიან დამახასიათებელია, რომ ბაგრატიონ-დავითაშვილების ნაბიჯი არ არის ახალი ამბავი. განა 22 თავადის ისტორია ვისმეს დაავიწყდა საქართველოში? და თუ მაშინდელი განგაში ჩაიხშო, დღეს ისეთივე ამბავი უფრო დოკუმენტალურად ამოცურდა ჩვენი პოლიტიკური ჰორიზონტის ფონზე და მაშასადამე დამნაშავენი სათანადო პასუხსაც მიიღებენ მთავრობისაგან.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ ფეოდალურ ელემენტების გარდა ასეთ გზას ხშირად მიმართავენ ჩვენი ვითომდა ქვეშევრდომ-მოქალაქეები და სპეკულიაციის წრეები. უეჭველია, დასაგმობია მათი ყოფა-ქცევა და ისინიც გახდებიან რესპუბლიკანურ ლოდის მსხვერპლნი და მით ძირშივე აღიგვება ანარქიის გამომწვევი პირობები.

შინაურ მტრებს, ამ პოლიტიკურ ავანტიურისტებს დავიწყებული აქვთ ის ელემენტარული მოქალაქობრივი გრძნობა, რომელსაც რუსეთის მინისტრი პროკოპოვიჩი სახელმწიფოებრივ სინიდისს უწოდებდა. იქ სადაც სახელმწიფოებრივი სინიდისი ასე სუსტად არის განვითარებული, მთავრობას შეუძლიან დაემყაროს დიდი სახელმწიფო მოღვაწის—კავურის პოლიტიკას: შენობის აგება შეიძლება მშვიდობიანობის ქადაგებით, მაგრამ მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის საჭიროა მარჯვენა ხელში ბასრი ხმალის დაჭერა, რათა აღსდგეს ძალა სახელმწიფოებრივ სინიდისისა და საზოგადოებრივი ცხოვრებაში შესაძლო გახდეს ორგანიული მუშაობის გაჩაღება.

საუბარი ამხ. გრიგოლ რცხილაძესთან

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საქართველოს დელეგაციის წევრი ამხ. გრიგოლ რცხილაძე უკვე დაბრუნდა სტამბოლიდან. ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა მას და ვბეჭდავთ ცოტა რამეს ამხ. გრიგოლ რცხილაძის გადმონაცემიდან.

მე ბევრს ვერაფერს გადმოგცემთ, სთქვა მან. საქართველოს დელეგაცია სამს თვეზე მეტს ხანს იყო სტამბოლში, მაგრამ რადგან მოსალოდნელი კონფერენცია არ გახსნილა, ამიტომ მე შემიძლიან გაგაცნოთ დელეგაციის არა მოქმედება, არამედ მხოლოდ შთაბეჭდილებანი. შევეხები ჯერ თვით ოსმალეთს.

ასე თუ ისე, ოსმალეთი წინად გატაცებული იყო ეგრედ წოდებულ პანისლამიზმით. დღეს გარემოება შეიცვალა და ფეხი მოიკიდა ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებში პანთურქიზმმა. ეს მიმართულება ჰფიქრობს შეაერთოს ყველა ის ადგილები, სადაც კი თურქის მოდგმის ხალხი მოსახლეობს. მათ გეგმაში შედის, სხვათა შორის, ისიც, რომ ოსმალეთის ბატონობა უნდა გავრცელდებოდეს სამხრეთ რუსეთის ნაწილზედაც [illegible]დან დაწყებული ყაზანამდე [illegible]

ბით არა გვჯობიან. ის მხოლოდ ტექნიკით ბატონობს, მეცნიერებით, რომლის შეთვისება ჩვენც შეგვიძლიანო.

ამ მიმართულების მომხრეა თითქმის მთელი ადერბეიჯანი. რასულ-ზადე, მაგალითად, მოითხოვს მხოლოდ, რომ სრული ანექსია ადერბეიჯანისა დღეს ნუ მოხდებაო. ისე კი პანთურქულ აზრებს იზიარებს. ოსმალეთი წინააღმდეგი არაა კავკასიაში პატარ-პატარა სახელმწიფოები დაარსდეს, მაგრამ ისეთი ძლიერი კი, რომ მისთვის საშიში არ იყოს. იგი არც იმის წინააღმდეგია, რომ ბოლოს და ბოლოს მათი კონფედერაცია შეიქმნას, რადგან დარწმუნებულია, რომ კავკასია ამნაირად ყოველ შემთხვევაში მისი გავლენის ქვეშ იქნება. ოსმალეთის საბოლოვო მიზანი კი არის ძლიერი, გაერთიანებული პანთურქული სახელმწიფოს შექმნა იმ საზღვრებით, რომელზედაც ზემოდ მოგახსენეთ.

გერმანიის ინტერესები ამას ეწინააღმდეგება. მას კერძოდ საქართველო უნდა ბაზად მორეულ აღმოსავლეთთან კავშირის დასაჭერად. აგრეთვე გერმანიის მიზანი არ არის რუსეთის საბოლოვო დაშლა. აქ სდგება ბისმარკის ტრადიცია. გერმანიას გულწრფელად ჰსურს რუსეთის არსებობა და მისი მოკავშირეობა. მან საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და რუსეთიც საამისოდ აიძულა, მაგრამ ბრესტის ხელშეკრულების დამატებითი მუხლები, აქაურ გაზეთებს რომ გადმოუციათ, სრული არაა. ნამდვილად [illegible] რომ **საქართველო უკანასკნელი სახელმწიფოა, რომლის დაარსებასაც გერმანია ხელს უწყობს.** შემდეგ მან ამნაირ მოღვაწეობაზე ხელი უნდა აიღოს. თუ რა მიზნები აქვს გერმანიას აქეთკენ და რამ აიძულა ასე მედგრად გამოსარჩლებოდა იგი საქართველო[illegible] ამაზე ლაპარაკი ჯერ-ჯერობით შ[illegible]ლებლად მიმაჩნია. აღსანიშნავი [illegible] მხოლოდ ის, რომ გერმანიას არა [illegible] ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევა.

სტამბოლის კომფერენცია თა[illegible] ველად განზრახული იყო გერმა[illegible] ერ მხოლოდ საქართველოს შ[illegible] მაგრამ ოსმალეთმა თვითონ იკი[illegible] მოიწვია კავკასიის სხვა ერების წარმომადგენელნიც. ჩვენ მთელ სამ თვეს ტყუილად უცდით მის გახსნას. სხვათა შორის, გაზეთებში დაიწყეს კომპანია, რომ კონფერენციის შემფერხებელი ქართველები არიანო. ჩვენ გაზეთში პასუხის გაცემა არ შეგვეძლო და ოსმალეთის მთავრობას უთხრით: ეს საყვედურები უმართებულოა. ჩვენ ამდენიხანია აქა ვართ და ვუცდით კონფერენციის გახსნას. პრესა კი ბრალს ჩვენა გვდებს თქო. სამინისტროში გვითხრეს: ჩვენში, როგორც კონსტიტუციონალურ ქვეყანაში, პრესის თავისუფლებააო. ნამდვილად კი ისეთი დამონავებული პრესა, როგორიც ოსმალეთშია, არსად მოიპოება. სწერენ მხოლოდ იმას, რასაც უკარნახებენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთისა და გერმანიის მიერ ოსმალეთისათვის მოულოდნელი ამბავი იყო. პრესაში გაისმა ერთნაირი მუქარაც კი და უკმაყოფილება გერმანიისადმი. უჩვენოდ რად გააკეთეთ ეგ საქმე, ოსმალეთი კიდევ ცოცხალიაო. ასეთივე მოულოდნელი იყო კიულმანის სიტყვა რეიხსტაგში, სადაც იგი ამბობდა, რომ საქართველოს დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთო.

ოსმალეთის შინაური მდგომარეობა ვერ არის რიგზე, მაგრამ რაიმე ხალხურ მოძრაობაზე ლაპარაკი ზედმეტია. კერძოდ სომხები ძალიან დაშინებულნი არიან და დამარცხებულნი. ისინი მეჰნატრიან ბერძნებს, რომელნიც იგივე ქრისტიანები არიან, მაგრამ [illegible] ურეპრესიოდ გადურჩნენ. ეხლა ისინი სცდილობენ გამონახონ [illegible] კომპრომისი, რომ შესაძლებელი [illegible] სომხის ხალხის არსებობა და [illegible] შეუწყვეტა.

კავკასიის ერთა [illegible]

29

ნაალმდეგ იყვნენ განწყობილნი. სხვა ერთა დელეგაციათა შორის საქართველოს დიდი სიმპატიით ჰხვდება ბულგარეთი.

ასეთია მოკლედ ის, რაც ამ სამი თვის მავლობაში დავინახე და გავიგე. ბოლოს, როდესაც მოხდა რატიფიკაცია გერმანიის და რუსეთის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატებითი პუნქტებისა, ჩვენ საქართველოსაკენ წამოვედით და სტამბოლში გიორგი გვაზავა დავსტოვეთ. წამოვედით იმ პირობით, რომ როგორც კი დაინიშნება სტამბოლის კონფერენციის გახსნის დღე— ჩვენ დავბრუნდებით. მაგრამ, როგორც ზოგიერთი ნიშნებია, თვით კონფერენციის მოწვევის საქმე საკითხად გადაიქცა.

შემდეგ ამხ. გრიგოლმა მოიხსენია ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებენ გერმანიის მოკავშირენი. ჩვენ წავიკითხეთ ფრანგული გაზეთი „ტანი“, სადაც ჩვენს შესახებ სიმპატიით ლაპარაკობდნენ თუმცა გაზეთის მიხედვით არ შეიძლება მსჯელობა, მაგრამ არის იმის ნიშნები, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი არ იქნებიან არც ინგლისი, არც საფრანგეთი.

უნდა ითქვას კიდევ ერთი რამ. ევროპაში ეხლა დიდი მოძრაობაა ზავისათვის. ინგლისში, მაგალითად, ეს უკვე საარჩევნო ლოზუნგია. როგორც გზაში ერთ-ერთ სარწმუნო გაზეთში წავიკითხეთ, ზავის პოლიტიკას მიმხრობია ინგლისში ცნობილი ლლოიდ ჯორჯი. ეხლა უკვე აშკარად ლაპარაკობენ, რომ ამ ომით ყველა უძლურდება. შეიძლება ინგლისმა თავისი ბრძოლით სხვისი ბატონობა მოამზადოს და მის მემკვიდრედ ზღვაზე ამერიკა შეიქმნეს, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც ომობს და შედარებით ყველაზე ნაკლებ დაზარალებულა. ამას ზავისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ ამხ. რცხილაძე შეეხო ოსმალეთის ქართველებს და აღნიშნა, რომ მათ ტომობრივი შეგნება დიდი აქვთ და ამაყობენ კიდევაც თავის ქართველობით. ბევრგან საპატიო თანამდებობანი უჭირავთ, მაგალითად, ბრუსაში, სადაც ჩვენ ვიყავით, ქალაქის მოურავი ქართველია. სოფლებიც მრავლად არის. ოსმალეთის ქართველობაზე საქართველოს ამბავი გამომაფხიზლებელად მოქმედებს.

მთავრობაში

მთავრობის სხდომაზე დადგენილ იქმნა შემდეგი: საშუალო და პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენა სავალდებულოა უფროს კლასებში კი მსურველთათვის. ამ საგანს ვითეულ სასწავლებელში დასჭირდება თი შტატის მასწავლებელი, რომელსაც ჯამაგირი დროებით, სანამ საერთო ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდებოდეს, უნდა მიეცეს სასწავლებლის სპეციალური თანხიდან. საქართველოს ისტორია სავალდებულო უნდა იყოს არა ქართველთათვისაც, მაგრამ ვინაიდან მოწაფე ჯერ-ჯერობით ქართული არ იციან, მისი სწავლება დროებით უნდა მოეწყოს რუსულად. ამ საგნისათვისაც საჭირო იქნება თითო შტატის მასწავლებელი, რომელსაც ჯამაგირი უნდა მიეცეს სპეციალურ თანხიდან.

—

გზათა მიმოსვლის სამინისტრომ სთხოვა საგარეო საქმეთა მინისტრს: შეატყობინოს ოსმალეთის მთავრობას, რომ შესაფერ შეთანხმების დამყარებამდე საქართველოს რკინის გზებმა შესწყვიტეს ფასდადებულ ტვირთის მიღება მეზობელ რკინის გზებზე.

—

საგარეო საქმეთა მინისტრს შეეკითხა სომხეთის მთავრობა: საქართველოში მომქმედი კერძო მესაკუთრეთა მამულების ჩამორთმევის კანონი ვრცელდება თუ არა უცხოელებზე, და თუ არა, რა წესით უნდა იქნენ აღდგენილნი თავის უფლებებში მიწის მფლობელობისა იმ მამულების შესახებ, რომლებიც საადგილმამულო კომიტეტებმა უკვე ჩაიბარეს.

ეროვნული საბჭო

სექტემბრის 27-ს სხდომა.

ფაჩუაშვილი. (ს.-რ.) სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქციის სახელით მოითხოვს, უმცირესობათ უფლება უნდა ჰქონდეთ თავის ენაზე სიტყვის წარმოთქმისა და მხარს უჭერს მესამე მუხლს.

ნ. ქარცივაძე (ალიონელი). ეროვნულ უმცირესობათა ინტერესის დაცვა კარგია. მაგრამ ჩვენ მხედველობაში უნდა მიიღოთ ის პრაქტიკული და ტეხნიკური უხერხულობა, რაც აქ უმრავლესობისთვის შეიქმნება. რამოდენიმე ერის წარმომადგენელნი უნდა შემოვიდნენ აქ და თუ ყველამ თავის ენაზე ილაპარაკა, მაშინ ჩვენი პარლამენტი ბაბილონის გოდოლად უნდა გადაიქცეს. ეგეც არ იყოს, ასეთი საშუალება არც იმათ და არც ჩვენ არ დაგვაკმაყოფილებს. ამიტომ საჭიროა, ერთ სახელმწიფო ენაზე, ქართულ ენაზე ლაპარაკობდეს პარლამენტი.

რ. არსენიძე. აქ გაუგებრობა იბადება აქ საკითხი პრინციპიალურადაა წამოყენებული და ნათქვამია: უფლება ერს ეძლევა და არა პიროვნებას. დღეს თუ აქ დოლუხანოვები მოდიან ხვალ და ზეგ ხომ დემოკრატიამ თავისი წარმომადგენელი უნდა გამოგზავნოს და რა უფლებით უნდა აუკრძალოთ ჩვენ სომხის გლეხს თავის ენაზედ ლაპარაკი. ანდა როგორ შეგვიძლიან შევზღუდოთ ერი და უთხრათ: ესა და ეს პირი გამოგზავნე ჩვენს პარლამენტში რომ მან გასაგებად ილაპარაკოს. ხოლო ისინი, ვინც აქ მოვლენ დარწმუნებული ვარ მათ ობსტრუქცია კი არ აინტერესებთ, არამედ შეთანხმებული შრომა თავის ერისათვისაც. ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ რომ გადაგვარებულებს უფლებას ვაძლევთ. ჩვენ გადაგვარებულებს არავითარ უფლებას არ ვაძლევთ მათ მხოლოდ ერთი უფლება აქვთ—გადმოგვარებისა. „ალიონის“ ჯგუფის მეთაური პ. საყვარელიძე დემოკრატიის სახელით გველაპარაკება და ავიწყდება. რომ ასეთი ზომა დემოკრატიის დევნა იქნებოდა.

გ. ჩერქეზიშვილი მომხრეა მესამე მუხლი დარჩეს ამ კანონში.

პ. საყვარელიძე. მე წინააღმდეგი ვარ მუხლი ასე დარჩეს. არც ერთი დემოკრატიული წესი არ მოითხოვს და არ ამბობს, რომ ყველა უმცირესობის წარმომადგენელს თავის ენაზე ჰქონდეს ლაპარაკის უფლება. ამიტომ, რადგან კომპრომისი საჭირო ხდება, ასეთი დამატება შევიტანოთ მესამე მუხლში: უმცირესობათა წარმომადგენელ დეპუტატს სახელმწიფო ენის უცოდინარობის გამო, უფლება აქვს სიტყვა წარმოსთქვას თავის ენაზე დროებით, ვიდრე ნაციონალიზაცია სახელმწიფოს ყველა დარგში განხორციელდებოდეს.

პ. ედია. მოითხოვს მესამე მუხლი სავსებით გამოტოვებულ იქმნას ამ კანონიდან.

ირ. წერეთელი. ეს საკითხი მარტო პრინციპის საკითხი კი არაა არამედ ტეხნიკური მიზან-შეწონილობის საკითხიც არის. ჩვენ გვინდა ერთის მხრით უფლება მივცეთ ერს, ხოლო მეორე მხრით ვუადვილოთ მუშაობა ეროვნულ საბჭოს. აქ ბევრი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ უმცირესობანი მცოდნე დეპუტატებს გამოგზავნიანო. ეს ძნელი სათქმელია. მაგრამ წარმოვიდგინოთ, ყველა ქართულის მცოდნე გამოგზავნეს. მაშინ როგორ შევხედოთ პრინციპიალურად ამ კანონს. უნდა მოვსპოთ? მაგრამ აქ უფლების საკითხი ისმება: აქ ნათქვამია, უმცირესობათა ენის საკითხი ცალკე განისაზღვრებაო. ამიტომ შეიძლება მესამე მუხლი [illegible] და შემდეგისათვის გადავდოთ განვიხილოთ იმის მიხედვით, თუ როგორი შეხედულება და პირობები იქნება ახალ წარმომადგენელთა მოსვლის შემდეგ. ამიტომ წინადადება შემომაქვს, კრება 15 წუთით შესწყდეს ფრაქციათა შესათანხმებლად ამ საკითხზე.

თავმჯდომარე. კრება 15 წუთით შეწყვეტილია.

კრების განახლებისას თავმჯდომარე კენჭს უყრის შემოსულ წინადადებებს, ამ კანონის შესახებ.

ირ. წერეთელი. მე მომხრე ვიყავი, რომ ეს მუხლი ჩამოგვეხსნა და შენიშვნაში გვეთქვა: შესაფერი კანონის მიღებამდე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს ენის ხმარება განისაზღვრება შემუშავებულ რეგლამენტით.

თავმჯდომარე. მე ვმოქმედებ რეგლამენტის ძალით, რეგლამენტში ნათქვამია, რომ საბჭომ წარმოდგენილი კანონი ან უნდა დაამტკიცოს, ან დაიწუნოს და უკან დააბრუნოს, ამიტომ შეუძლებელია კანონი მივიღოთ: მას ერთი მუხლი ჩამოვაგლიჯოთ; მერე სად გნებავთ ამ მუხლის წაღება?

კენჭის ყრით მიღებულია პ. საყვარელიძის დამატებით ამ კანონის მესამე მუხლი.

გ. ვეშაპელი. (დამ. ნ.-დ.) წერეთელს მოხერხებული განზრახვა ჰქონდა: ეს მუხლი მიეჩქმალა იმდენ, სანამ ალექსეევის ხიშტები მოუახლოვდებოდა და შესაძლებელი გახდებოდა რუსული ენის შემოღება იმ დეპუტატთათვის, ვისაც ქართული ენა [illegible]; მაგრამ ჩვენ ნაკლები ბოროტება გვირჩევნია და ამიტომ, თუ კი აუცილებელია, რომ აქ ვინმემ სხვა ენაზე ილაპარაკოს, უმჯობესია იგი თავის სამშობლო ენაზე ილაპარაკოს.

ირ. წერეთელი. უპასუხებს ვეშაპელს და ამბობს რომ აქ ალექსეევის არმია მოსატანი არ არის, ვინაიდან ჩვენ დემოკრატიისთვის ვლაპარაკობთ და დემოკრატიას კი ალექსეევისა მაშინაც არ ეშინოდა, როცა მას საიმპერიო ძალა ეჭირა ხელთაო. დიახ, ბ. ვეშაპელო! ეს ჩემი წინადადება იმ მოსაზრებით იყო შემოტანილი, რომ უცხოელებისათვის ერთი საერთო ენის შემოღებას გასაგები გაეხადა მათი და ჩვენი მოქმედება ჩვენს პარლამენტში. და ამას თქვენც მხარს დაუჭერდით, რადგან გეგონათ, რომ მე ამ მუხლს სრულიად ვსპობდი ამ კანონიდან.

რ. გაბაშვილი. ემხრობა კედიას და მოითხოვს პარლამენტში მხოლოდ ქართულ ენის დაწესებას.

აკაკი ფალავა (ს.-ფ.) ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია მიღება იმ შესწორებისა, ირ. წერეთელმა რომ შემოიტანა. ვინაიდან ეს უარისყოფაა უკვე დაკანონებულ მესამე მუხლისა. ჩვენ დავიცავით პრინციპი დემოკრატიზმისა და ერთა თანასწორობისა ჩვენ ვაღიარეთ, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს უფლება აქვთ სამშობლო ენაზე ილაპარაკონ ჩვენი ბრალი არ არის თუ მათ უღალატეს პრინციპსა და საკუთარ დემოკრატიასაც. ჩვენი ბრალი არ არის, თუ მათ თავის ხალხის ენა არ ეცოდინებათ. აქ ისეთი ხალხი რომ მოვიდეს, ვინც არც სახელმწიფო და არც თავის სამშობლო ენა არ იცის და ლაპარაკი დაიწყოს ძველ სახელმწიფო ენაზე, ეს იქნებოდა შეურაცხყოფა ჩვენიც და მათიც. ეს ღალატი იქნებოდა პრინციპის და დემოკრატიის ინტერესებისა. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ხალხს თავის გასაგებ ენაზე უნდა ელაპარაკო და რა ჩვენი ბრალია, თუ ამ მხრივ არ აკმაყოფილებენ აქ მომავალი ეროვნულ უმცირესობათა დეპუტატები? აი, ამ დებულებათა წყალობით ჩვენ უარვყოფთ ირ. წერეთლის შესწორებებს და მხარს ვუჭერთ კომისიის პროექტს. სადაც ნათქვამია, რომ წესი სამშობლო ენით სარგებლობისა და მისი თარგმანისა განისაზღვრება რეგლამენტით, სადაც სათანადო შესწორებანი უნდა იქმნეს შეტანილი.

მომხსენებლის პასუხის შემდეგ თავმჯდომარე კენჭს უყრის საერთოდ კანონს. კანონი ხმის დიდი უმეტესობით მიღებულია

რეგლამენტის შესწორებანი:

სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით აკაკი ფალავას შეაქვს წინადადება: დაევალოს სარეგლამენტო კომისიას ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს მიღებულ კანონის მიერ გამოწვეული რეგლამენტის სათანადო შესწორებანი. კენჭის ყრით ეს წინადადება მიღებულია.

კრება ოთხის ნახევარ საათზე სწყდება.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში მოთავსებულ ეროვნულ საბჭოს ანგარიშში, ი. ბარათაშვილის სიტყვის მე-2-რე სტრიქონში კორექტურულ შეცდომის გამო გამოტოვებულია: „ჩვენ იმას კი არ ვერიდებით თუ ვინ რას იტყვის, არამედ იმას ვამბობთ თუ ვის რა ეკუთვნის“.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი.

პარიზი. 9—28. ფრანგების შეტევა გრძელდება. მდ. ენის ჩრდილოეთით გერმანელები კლეტისა და ალლემანისკენ იწევენ. ფრანგები უკან სდევენ გერმანელთა არიერგადებს და პინიონის ტყ ქოჩორი. ჩვენმა ჯარმა დაიკავა ფედ სონი, შარლნოე და ფოუტი მალმეზ ნი შამპანში ჩვენ ვანვითარებთ ჩვ სასარგებლო ბრძოლას.

იტალიის ფრონტი.

ვენა 9—29. იტალიის ფრონტზე სებითად არ შეცვლილა მდგომარე ალბანიის სანაპიროებზე და ბერ იერიშებმა უნაყოფოდ ჩაიარა.

პალესტინის ფრონტი.

სტამბოლი. 9—29. ინგლის განაგრძობენ წინსვლას დერას-და რკინის გზის ორივე მხარეს და რის ტბის ჩრდილო დასავლეთ ნაპირ დანარჩენ ადგილებში სიწყნარეა.

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. 9—26. ტრანს-ოკეანე პრეს-ბიუროს ცნობა. მტრის ცნობი გასაბათილებლად ელზას-ლორენის ზოგიერთი ადგილის ევაკუაციის შესახებ ოფიციალურად ცხადდება: ამ რამდენიმე ხნის წინად გავრცელდა ხმები ელზას ლორენის ევაკუაცია მზადდებოო. ამიტომ ვაცხადებთ, რომ შორეული მანძილიდან მიტელსა და სხვა ადგილისა

მიწის საკითხი

აგრარულ კომისიის და მთავარ კომიტეტის სახელით ამხ. აკ. პაპავამ შემდეგი მოხსენება წაიკითხა კონფერენციაზე.

რევოლიუციის შემდეგ კარგა ხანმა განვლო, მაგრამ მთავარი საკითხის სიმწვავე, რომელიც მის პირველ დღეს თან დაჰყვა, აგრარულ რეფორმის გატარება, მიწის გლეხებზე გადაცემა ჯერაც არ გადაწყვეტილა.

განსაკუთრებით ეხლა ხდება იგი დიდ მნიშვნელობის საკითხად, რადგან შეიძლება მაზე იყოს დამოკიდებული არა მარტო ჩვენი სოფლის მეურნეობის ბედი, არა მარტო სოციალიზმის იდეის განმტკიცება და გლეხთა მატერიალურ-კულტურული წარმატება, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის, ჩვენი სუვერენობის საკითხიც. თუ დამოუკიდებელმა საქართველომ ვერ მოახერხა ის, რაც ვერ ქმნეს თავის დროზე რუსეთის რესპუბლიკამ და ამ.-კავკ. მთავრობამ, ცხადია, ქართველი გლეხობა ვერ შეიგნებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის სარგებლობას და მის ქომაგად არ გამოვა. წინააღმდეგ, თუ ეს საკითხი დროზე და რიგზე არ იქმნა გადაწყვეტილი, შეიძლება ჩვენში ვანდეამ თავი იჩინოს და სტიქიურ ამბოხებათაც ბოლო არ მოეღოს.

ის არევ-დარევა, ანარქია, რომელიც დღემდისაც მძვინვარებს ჩვენში და აგრე რიგად უშლის ხელს ჩვენს სახელმწიფოებრივ-შემოქმედებით მუშაობას, მეტ შემთხვევაში გამოწვეულია გლეხთა დაუკმაყოფილებლობით, რევოლიუციით. თუ ჩვენ შევძლებთ დაჩქარებით აგრარულ რეფორმის გატარება, გლეხი შრომას [illegible] ხელს, ნორმალურ კალაპოტში [illegible] და სახელმწიფოებრივ [illegible]

ასეთია მოკლედ პოლიტიკური მხარე ამ საკითხისა რომ თავი გავანებოთ მის სოციალურ და გნებავთ თუ სოციალისტურ მნიშვნელობას.

აგრარულ საკითხის გადაწყვეტაში დღესაც, როგორც მუდამ ჩვენ ორის მთავარის პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ: პირველი არის ავტონომიური ბუნება ამ რეფორმისა. ძირითადი რეფორმა მიწის საკუთრებისა და მფლობელობის შესაძლებელია არსებულ სახალხო მეურნეობის შეურყევლად. სულ სხვაა ასეთივე რეფორმის გატარება კაპიტალის სფეროში—იგი მოითხოვდა წარმოების სახეთა სრულ გარდაქმნას და მთელ მეურნეობის ხასიათს ძირიანად შესცვლიდა, რაიც დღევანდელ პირობებში სამოქალაქო ომთან საშინელ ანარქიას გაამეფებდა წარმოებაში, რასაც დღეს ვხედავთ ბოლშევიკურ რუსეთში.

მთელი მემამულეთა მიწები სახელმწიფოს ხელში რომ გადავიდეს, შეგვეძლო არენდით დაგვეტოვებინა წვრილ მიწად მოქმედთათვის და ამით არც მიწათმფლობელობის ხასიათი და წარმოება შეიცვლებოდა (ტუგან-ბარანოვსკი). აი, ეს გვაძლევს საშუალებას არსებულ ბურჟუაზიულ წყობილებაში რადიკალურად გავატაროთ აგრარული რეფორმა და ამით არსებითად არ გარდავქმნათ სოციალური სტრუქტურა. მეორე პრინციპი არის ამ საკითხის გადაწყვეტის დროს ვიხელმძღვანელოთ მშრომელი ხალხის საბოლოო მიზნის მოსაახლოებლათ, იგი შევქმნათ სოციალიზმის ერთ, მთავარ საფეხურად. მე აქ არ ვლაპარაკობ მის ეკონომიურ და კულტურულ მნიშვნელობაზე, პოლიტიკური მხარე კი უკვე აღვნიშნე.

თუ ამ პრინციპებზე [illegible] ერ აღიარებული ფორმა მფლობელობა-წარმოებისა—სოციალიზაცია—არ არსებობს. საქართველოში ეს უფრო ღრმა მიზეზების მოთხოვნილება გვკარნახებს: ჩვენი ბუნების სიმდიდრე და სხვა და სხვაობა, რაიც ინტენსიურ მეურნეობის საუკეთესო პირობებია და მიწის სიმცირე, ყველა ეს მოგვიწოდებს მეურნეობის კოოპერატულ პრინციპზე აგებისაკენ. დანიის მეურნეობა საუკეთესო მაგალითია ამ მხრივ, თუ რა აყვავება მოელის ჩვენს ქვეყანას, თუ სამეურნეო კოოპერაციის იდეამ ფეხი მოიკიდა!

დღეს რევოლიუციის მონაპოვარი ამ მხრით დიდია, ეს არის მიწის ჩამოთმევა (ექსპროპრიაცია) განსაზღვრულ ფარგლებში. რასაკვირველია, ეს ფარგლები შეიძლება ვიწროდ მოეჩვენოს ვისმე და მან ისურვოს დღესვე ერთის დაკვრით მოვსპოთ ყოველი კერძო საკუთრება მიწაზე, მაგრამ ასეთი აღრმავება რევოლიუციისა და უკიდურესი რადიკალიზმი ყოვლად შეუძლებელია, იგი ახალი ტიპის ბოლშევიზმი იქნებოდა და მოკლე ხანში რესტავრაციის წინ დაგვაყენებდა. ამიტომ ჩვენი მიზანია გავამაგროთ ამ რეაქციის ხანაში რევოლიუციის მონაპოვარი და უფლებრივ ნორმებში ჩამოვაყალიბოთ ეს აქტები, მონაპოვარი კი უეჭველად დიდია. რევოლიუციამ თითქმის უმტკივნეულოდ გადასწყვიტა პირველი ნაწილი ამ კითხვისა—მიწები სრულიად უსასყიდლოდ ჩამოერთვა მსხვილ მესაკუთრეთ და გადავიდა ფონდში. ისეთ სოციალისტებსაც კი, როგორიც არიან მარქსი, ენგელსი და ვანდერველდე თითქმის შეუძლებლად მიაჩნდათ მიწების უსასყიდლოდ ჩამორთმევა და სამართლიან ფასებზე [illegible]

რევოლიუციამ ეს შესძლო. დროებით [illegible] სახელმწიფოს [illegible] ხელშია, მისგან დანიშნულია მიმღები კომისიები, რომელთაც $^2/_3$ შრომისა თითქმის დაამთავრეს და მარტის 7 კანონის ძალით მიწები მიიღეს ფონდში ჩასარიცხად. ეხლა ისმება საკითხი: ვინ უნდა იყოს იურიდიული მესაკუთრე ამ მიწებისა: სახელმწიფო, თვითმართველობანი, თუ ადგილობრ. საზოგად. ერთეულები (თემები). თვითმართველობათ ამ მისთვის უცხოსა და ზედმეტ და თან საპასუხისმგებლო საქმეს, რა თქმა უნდა ვერ დავაკისრებთ—მათი დანიშნულება სამუნიციპალო სპეციალური საქმეებია.

თემები ჯერ კიდევ ვერ გახდებიან მტკიცე იურიდიულ პიროვნებათ და შესაძლოა დიდი არევ-დარევა შეიტანონ საქმეში და ცხადია საჭირო გახდებოდა მთავარი-მუდმივი ცენტრალური რეგულიატორი.

მაგრამ ასეთი უკვე არსებობს სახელმწიფოს სახით. მაგრამ ჩვენ დღემდის პრინციპიალურის და რეალურის მოსაზრებით წინააღმდეგი ვიყავით სახელ ხელში მიწების გადაცემისა—ნაციონალიზაციისა. გავსინჯოთ მიზეზები. თუ ისინი აღარ არსებობენ, შიშიც მეტი იქნება.

მთავარი ისაა, რომ სახელმწიფოს ხელში, რომელიც ბურჟუაზიის იარაღია, რომლიდანაც დევნილია დემოკრატია, შეუძლებელია მიწების გადაცემა—იგი მას გააძლიერებს.

ჩვენი სახელმწიფო არის და იქმნება უაღრესად დემოკრატიული, ამიტომ თვით ამ დემოკრატიის წარმომადგენელთა ხელში ამ ძლიერი იარაღის გადაცემა სახიფათო კი არაა, ფრიად სასარგებლო იქმნება მშრომელ ხალხისთვის, მეორე, ჩვენ გვეშინოდა საქართველოს მიწების (არსებითად მისი ტერიტორიის რუსეთის ცენტრალურ სახელმწ. გადაცემისა, ჩვენ ვიქნებოდით [illegible] ერთ დღეს ეს შიში აღარაა ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ მიწებიც ისევ ჩვენს ხელში რჩება.

მიწის რეფორმას ჩვენში სპეციფიურ თვისება აქვს; ირლანდიის აგრარულ რეფორმ. მიწების პარცელაციაში ფერმერებისათვის ამ ნაკვების და კუთრებაში გამოიხატა, რადგან იქ მ წის რენტა ეცემოდა და მცხოვრებნ კლებულობდნენ—ოკეანე იქით გად დიოდა ემიგრანტების ტალღა. მიწ ბლომად დარჩა. დასაკუთრებით ერ ხელ და სამუდამოდ სწყდებოდა სიმ რის და რენტის საკითხი.

სულ სხვაა ჩვენში; რენტა საგრძნ ლად იზრდება, მცხოვრებთა რი მატულობს, მიწის სიმცირე მეტად გრძნობია. ყველა ეს მოითხოვს მ მუდმივ რეგულიატორს ამ რეფორ თანდათან გადასინჯვა-განმტკიცე თვის.—მიწაც ამ რეგულიატორის კარგულებაში უნდა დარჩეს, რომ მართლიან განაწილდეს.

ამასვე დაუმატეთ პოლიტიკურ მენტი — სახელმწიფოს ავტ განმტკიცება. მიწა რე სახელმწიფო და სოცი ვის მმართველი იქნება, რ ლება არ გაზარდის მისდ პატივისცემა.

რჩება პრინციპიალური ციონალიზაცია (ცენტრალიზ მიური) პრინციპზეა აგებუ ამ საკითხში არ შეიძლება ლისტები არ ვიყოთ. მაგრამ დეცენტრალიზმი სხვა და შეიძლება წარმოვიდგინოთ და სოდეს არ ვყოფილვართ მომხრ დურეს განკერძოებისა არც სოცია არც პოლიტიკურ საკითხში. კ ფედერალიზმი მეორე საფეხურ დეცენტრალისტურ ერთეულთა გა [illegible] შეგვიძლია [illegible] საკითხს, [illegible] განსაზ

თვის ყუმბარების დაშენამ საბაბი მისცა მომზადებულიყვნენ სიცოცხლისა და მოძრავი ქონების დაცვისათვის და იმ ადგილების ევაკუაციისათვის, რომელიც შორს-მსროლელ ზარბაზნებს მიზანში ჰქონდა ამოღებული. ეს მზადება სისტემატიურად სწარმოებს, სამხედრო საჭიროებას სავსებით ეთანხმება. და შემდეგ სისრულეში იქნება მოყვანილი.

ბერლინი. 9—29. ინგლისელები შეტევას აწარმოებენ კამბრეს მიმართულებით და მის სამხრეთით. ფრანგები განაგრძობენ იერიშებს შამპანში. მტრის შეტევითი ოპერაციას თან ახლავს ნაწილობრივი იერიშები იპრსა და სკაპრის შუა და აგრეთვე ელეტსა და ენს შუა

კრონპრინც რუპრეხტის და ბოინეს ლაშქარი. ჩვენ მოვიგერიეთ მტერი, რომელმაც იერიშები მოიტანა ჩვენს ხაზებზე იპრსა და სკარპის შუა არასისა და პერონიდან კამბრეზე მომავალ გზებს შუა და მათ ორივე მხრით შეტევა დაიწყო ინგლისისა და კანადის 16 დივიზიამ მარვინის ორივე მხრით. ლიონქურტსა და დრენკურტს შუა და აგრეთვე რიბეკურტსა და ვილლერი გისლენს შუა დამარცხდა მტრის პირველი იერიში. ჩვენი ხაზების წინ. ინგინთან მტერმა ბურბონს შემოუტია, გავრინკურტთან ფლესიერს. მან ბრძოლის დროს გააფართოვა ჩვენი ფრონტის გარღვევა და დაგვახევინა არას-კამბრეს გზატკეცილის ჩრდილოეთით უაზის ხაზამდე. გზატკეცილის სამხრეთით, საღამოს ბრძოლის შემდეგ კონტრ-იერიშების წყალობით შევინარჩუნეთ ბურბონ-ვალდ-რიბეკურტის ხაზი. ჩვენი ხაზების წინ, რიქეფურტსა და ვილლერ-გისლესს შუა დამარცხდა მტრის ყველა იერიში ეპეისა და პელოკურტს შუა ინგლისელთა და ამერიკელ დივიზიების ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ ბრძოლის დასრულებისას მტერი ყველგან მის ძველ პოზიციებზე გავრეკეთ.

ბულგარეთის საზავო წინადადება

სოფია 8—26. მთავრობის ბლოკის პარტიებმა შემდეგი ნოტა გამოაქვეყნეს: „ბლოკის პარტიებთან შეთანხმებით ბულგარეთის მთავრობამ სექტემბრის 25-ს, ნაშუადღევს 5 საათზე ოფიციალური საზავო წინადადება მისცა მტერს“

სოფია 9—28. ბულგარეთის საზავო წინადადების შესახებ სოფიიდან შემდეგი ცნობები მოვიდა: „ბლოკის პარტიებმა ოფიციალური საზავო წინადადებით მიმართეს მტერს, მათ მოწოდებით მიმართეს მცხოვრებლებს, სადაც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საჭიროა სამხედრო და სამოქალაქო დისციპლინის დაცვა, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ზავის საქმე კარგად დაბოლოვდეს“ მეორე ცნობა ასეთია: სოფია სექტემბრის 26. ბულგარეთის მთავრობამ, მიიღო რა მხედველობაში შექმნილი პირობები. (დამახინჯებულია) და ჰსურს რა ბოლო მოუღოს სისხლის ღვრას, დაავალა მთავარ სარდალს წინადადება მისცეს შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარების მთავარ სარდალს სალონიკში შეაჩეროს საომარი მოქმედება, რათა დროებითი ზავის შემდეგ საზავო მოლაპარაკება დავიწყოთ“.

ბერლინი 9—28. რეიხსტაგის მთავარ კომისიაში სტატს-სეკრეტარი ფონ-ჰინტცე შეეხო ბულგარეთის მდგომარეობას და სთქვა: „ბულგარეთი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია ვარდარსა და ცრინის შუა. ფრონტიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ მთავრობის თავმჯდომარის მალინოვსკის წინაშე საქმის ვითარება ცუდად იყო მოხსენებული. გუშინ ცნობა მოვიდა ბულგარეთის საზავო წინადადების შესახებ: ბულგარეთის დელეგაცია, რომელშიაც შედიან ფინანსთა მინისტრი ლიაპჩევი, გენერალ-მაიორი ლიაკოვი და ელჩი რადევი, ოთხშაბათს საღამოს უნდა გამგზავრებულიყო სალონიკში. მოსული ცნობებიდან სჩანს, რომ ეს საზავო წინადადება მართლა მთავრობის, მეფის და პარლამენტის თანხმობით იქნა წარდგენილი თუ არა ეროვნული კრება ბულგარეთში 30 სექტემბრისთვის არის დანიშნული. შესაძლებელია, მალინოვმა უარი სთქვას ამ გვარი მდგომარეობის გაგრძელებაში მონაწილეობის მიღებაზე. მთელ ქვეყანაში ძლიერი მიმართულებაა შექმნილი თვით მინისტრ-პრეზიდენტის წინააღმდეგ. პარლამენტის მთავარ პარტიებს და გავლენიან წრეებს ხალხისა არ ჰსურთ დროებითი ზავი და თხოვნა ხალხისთვის. საგულისხმოა, რომ ბულგარეთის საზავო დელეგაცია, რომელიც ოთხშაბათს საღამოს უნდა გამგზავრებულიყო, გუშინაც სოფიაში იყო. სჩანს, მოსალოდნელია წინააღმდეგობას გაუწევენ ზავის მომხრეებს. ცუდი ცნობების მიღების თანავე ბულგარეთში გაიგზავნა მოკავშირის დასახმარებლად ჯარი. ნაწილი ამ ჯარისა უკვე ჩავიდა, ნაწილი გზაშია. ავსტრია-უნგრეთი დიდ ძალებს გზავნის მაკედონიის ფრონტზე. იქ საკმაო ძალებია გერმანიისა და ავსტრია-უნგრელების, რომ სამხედრო მდგომარეობა აღადგინონ. მდგომარეობა რასაკვირველია სერიოზულია. ამ დღეებში გამოირკვევა ყველაფერი.

საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბულგარეთის როლი ამ ომში დაკარგული იყოს.

ტრანს-ოკეანეს პრეს-ბიურო 9—27. . . . . (დასაწყისი არ მოსულა) მალინოვმა ეს წინადადება თვითონ წარადგინა, მეფის და პარლამენტის დაუდასტურებლად და სამხედრო სარდლების დაუთანხმებლად. რადგან ბულგარელები ყოველთვის ლოიალურად ეპყრობოდნენ მოკავშირეებს. მალინოვის მოქმედებამ დიდი აღელვება გამოიწვია. ბულგარელების საშველად მიღებულია ზომები. უკანასკნელ ცნობებით, ბულგარელებს ემჩნევათ მტრული დამოკიდებულება პრემიერ-მინისტრთან ეს ცნობები სოფიიდან მოვიდა

კომპეტენცია სახელმწიფოს ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებისა იმნაირად, რომ ცენტრალიზმის პრინციპი—ადგილობრივ ერთეულთა ინტერესები შეულახველი დარჩეს. უფლების სუბიექტი უმთავრესად იქმნება ცენტრი (საერთო საქმეებში) და ასეთივე სუბიექტები იქმნებიან ადგილობრივი ერთეულების (დანარჩენ საქმეებში). ყველა აქედან ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ პირველი დასკვნა: ყველა ჩამორთმეული მიწები საქართველოს რესპუბლიკის ხალხის საკუთრებას შეადგენს და ამ სახელმწიფო მიწების ფონდს განაგებს სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები.

მაგრამ იბადება საკითხი: ყველა ეს ჩამორთმეული მიწები საკმარისია თუ არა, რომ ჩვენი გლეხობის მცირედი მოთხოვნილება მაინც დავაკმაყოფილოთ?

როგორც ვიცით, 7 მარტის კანონი ამ.-კავკ. სეიმისა ეხება დატოვების ნორმას და შემდეგნაირად განსაზღვრავს მას.

დაეტოვოს მემამულეებს:

1 ლი მაღალ კულტურის მეურნეობისას 7—10 დეს. (20—30 ქცევამდე), მე-2 სახნავ-სათესი 15—20 დეს. (32—45 ქცევა), მე-3 საძოვარი 40—50 დეს. (120—150 ქცევა).

დანარჩენი მამულები მიმღებ კომისიებს უნდა ფონდში ჩაერიცხათ. რასაკვირველია, ამ.-კავკ. ზოგ ნაწილებში განსაკუთრებით ადერბეიჯანში, სადაც მსხვილი მიწათმფლობელობაა, ფონდში მაიც საკმაო მიწები გადავიდოდა, რაიც გლეხებს კოტა რამეს მაინც მისცემდა მაგრამ საქართველოს, როგორც ვიცით, ახასიათებს წვრილი ტიპის მეურნეობა და ასეთი კანონით ფონდში ძლიერ [illegible] ნაწილი მიწებისა, თუ გადაირიც[illegible]. როგორც ვიცით ეს კანონი [illegible] კომპრომისი, რომელიც დაჟინებით ითხოვდა სეიმში მუსავატის პარტია. გარდა დიდ ნორმათა დატოვებისა, კომისიებს უფლება აქვთ კიდევ გაადიდონ თვითეულ შემთხვევაში. აქედან მიხვდებით—რა დიდია ეს ციფრები საქართველოს წვრილ-მფლობელობისათვის.

მიმღები კომისიების ნამუშევარის შედეგი სამინისტროს ოფიციალურ სტატისტიკის მიხედვით საკმაოდ იძლევა საამისო საბუთს. საერთოდ კერძო მესაკუთრეთა მიწები ასე ნაწილდება ამ წყაროებით:

ქუთაისის გუბერნიაში სახნავ-სათესი 473,981 დესეტინა; ტყეები 337,215 დესეტინა; საძოვარი 65,600 დესეტ. სულ 876,796 დეს.

ტფილისის გუბერნიაში: სახნავ სათესი 609,241 დესეტინა; ტყეები 540,695 დესეტინა; საძოვარი 182,400 დესეტინა სულ 1.332,336 დეს.

სულ ორივე გუბერნიაში კერძო მესაკუთრეთა მიწები (სახნავ სათესი, ტყეები და საზოვარი) შეადგენენ 2.209,132 დესეტინას. ეს ცნობები შეეხება მარტო ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებს. მიმღები კომისიები შემდეგ ცნობებს გვაწვდიან. სულ ბოლო ხანში. მიღებულია კერძო მემამულეთა მიწები (სახნავ-სათესი, ტყეები და საძოვარი) ტფილისის გუბერნიაში 97,812 დეს., ქუთაისის გუბერნიაში 41,378 დეს. სულ მიღებულია ორსავე გუბერნიაში 139,190 დესეტინა.

მართალია, ჯერ მიმღებ კომისიების მუშაობა ამ ორ გუბერნიებში დამთავრებული არაა, მაგრამ სამინისტროს ოფიციალურ ცნობით თითქმის ორი მესამედი ამ მუშაობისა დამთავრებულია უკვე. ვსთქვათ თუნდაც, რომ ეს კომისია 7 მარტის კანონის მიხედვით ერთ ამდენს კიდევ გააგროვებს ფონდში, მაშინ მუშაობის დასასრულს ჩვენს განკარგულებაში იქმნება დაახლოვებით 270,000-მდე დესეტინა კარგ და უვარგის მიწებისა.

აკაკი პაპავა.

უცხოეთი

ბერლინი, (ტრანს-ოკეანეს პრეს-ბიუროს ცნობა). რეიხსტაგის მთავარ კომიტეტში გენერალ ფონ-ვისბერგმა სამხედრო მდგომარეობის შესახებ განაცხადა: „ჩვენი შეტევის შეჩერების შემდეგ სამნიშვნელო ცვლილებები მოხდა ჩვენს სამხედრო მდგომარეობაში. ჩვენ მოგერიებითი წესს უნდა დავდგომოდით მტერმა გაიმარჯვა. სათადარიგო ნაწილების დახმარებით ჩვენ კვლავ მოვახერხეთ ფრონტის გამაგრება. უკან დავიხიეთ სტრატეგიულის მოსაზრებით.

ლონდონი 9—27. სამხედრო საბჭომ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა გენ. ალენბის: „წრფელი გულით გილოცავთ თქვენ და თქვენ უფროსობის ქვეშ მყოფ ნაწილებს ბრწყინვალე გამარჯვებას, თქვენ რომ მოიპოვეთ და უზომო სიამოვნებას გამოსთქვამს, იმ აზრთა სიდიადის, გამჭრიახობის და სწორი გეგმების შემუშავების გამო რომელიც უკანასკნელი ოპერაციის დროს გამოიჩინეთ.

ახალი ამბავი

◆ **საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მე-3 თავისუფალი კონფერენციის რეზოლუციები დაიბეჭდება ხვალინდელ ნომერში.**

◆ **სოციალ-დემოკრატთა კონფერენცია** დანიშნულია პირველ ნოემბრისათვის. კონფერენციის საგნებია: 1) საოლქო კომიტეტის მოხსენება 2) საკანტროლო კომისიის მოხსენება 3) ეროვნულ საბჭოს ს. დ. ფრაქციის მოხსენება 4) მთავრობის წევრთა მოხსენება 5) დამფუძნებელი კრება და მისთვის კანდიდატების დასახელება 6) აგრარული საკითხი 7) დამოკიდებულობა სხვა პარტიებთან 8) ადგილობრივი თვითმმართველობა, 9) პარტიული მუშაობა 10) ინტერნაციონალი, 11) არჩევნები.

◆ **ჯარში მყოფ და ჯარში გასაწვევ ქართველ სტუდენტთა საყურადღებოდ.** ერთი ჯგუფი ჯარში მყოფ ქართველ სტუდენტებისა ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 2-ს ოქტომბერს სატამოს 6-ს საათზედ ქართულ უნივერსიტეტის შენობაში დანიშნულია საერთო კრება. ჯარში მყოფ და ჯარში გასაწვევ სტუდენტთა მდგომარეობის გამოსარკვევად კრებაზე დასასწრება აუცილებლად საჭიროა

◆ **შუამდგომლობა.** ქართველ მხატვართა საზოგადოება შუამდგომლობს განათლების მინისტრის წინაშე, რათა დაეთმოს მას ყოფილ სამხედრო მუზეუმის (დიდების ტაძარი) შენობა ქართული მხატვრობის და ხელოვნების საგანძურის მოსაწყობად.

◆ **ჯარების დათვალიერება.** გუშინ სამხედრო მინისტრის ამხანაგმა გენერალ-მაიორმა გედევანიშვილმა დაათვალიერა ამ ჟამად ტფილისში მდგომ მეორე საარტილერიო ბრიგადის შემადგენლობა.

◆ **საეპიდემიო და სასანიტარო ფონდი.** ტფილისის გამგეობის გადაწყვეტილებით დაარსდა სასანიტარო და საეპიდემიო ფონდი, რისთვისაც ყველა მოქალაქემ უნდა გაიღოს თავის წვლილი. ამიტომ მილიციის უფროსი აცხადებს, რომ ყველა მოქალაქემ თავის ჯამაგირისა და თვიურ შემოსავლიდან უნდა გადასდოს 20 პროცენტი, რის შეკრებაც ევალებათ სახლის კომიტეტებს, სახლის პატრონებს და ქალაქის მილიციას.

◆ **დატუსაღება.** მილიციის უფროსმა ერთის კვირით დაატუსაღა უფროსი მილიციონერი ვასილიევი მოვალეობის დაუდევრად ასრულებისათვის.

◆ **აკრეფილი გადასახადი.** ტფილისში წლის დამდეგიდან აგვისტომდე ტფილისის მილიციას შეუკრებია მცხოვრებთაგან გაწერილი გადასახადი 72,36 275 მან. 50 კ. კიდევ ასაკრებია ტფილისში 4,606,089 მან. 8 კაპეიკი მილიციის უფროსმა უბრძანა კომისარებს, რომ ენერგიული ზომები მიიღონ ამ გადასახადის დროით ასაკრებად.

◆ **ბრძოლა სპეკულაციასთან.** ოქტომბრის 1-დან ძალაში შედის სპეკულიაციის წინააღმდეგ მომქმედი კანონი, რომელიც ეროვნულ საბჭომ შეიმუშავა.

◆ **მკვლელობა.** სექტემბრის 28 ს მიხეილის ქუჩ. ზე № 131 ბოროტმოქმედებმა ხანჯლით მოჰკლეს ა მაჭავარ.

◆ **გაძარცვა.** სექტემბრის 25-ს მადათოვის ქუჩაზე ბოროტგამზრახველებმა კოგიდაჩიანცის სახლი გაძარცვეს წაიღეს 86 ათასი მანეთის საქონელი.

◆ **ქურდობა რკინის გზაზე** ასოთამწყობს ივ. ედიშერაშვილს, ილია ლაგრაძეს და ზოგიერთ სხვა მგზავრებს გრაკლიდან ტფილისამდე მატარებელში ამოაცალეს: ედიშერაშვილს საათი ფული და საბუთები, უკანასკნელი ლაგრაძეს უპოვნია, ხოლო თვით ლაგრაძეს მოჰპარეს ფულის მისაღები უწყება ხაზინისა 450 მანეთისა, პასპორტი და ფული: საერთოდ მატარებლებში ქურდბაცაცები ძაან დაძრწიან და საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

◆ **ბოროტმოქმედთა დატუსაღება.** ფოთიდან დაბრუნდა ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ჰ ჩაჩავა, რომელსაც ფოთში დაუტუსაღებია 3 კაცი ექსპედიციიდან ბონების გამტაცებელთაგანი და აღმოუჩენია 75,000 მან. ექსპედიციდან გატაცებული ფული.

— განსაკუთრებული რაზმი და სისხლის სამართლის მილიცია დღეში ატუსაღებს 20-მდე ძძარცველს და ქურდებს.

◆ **შტატის გარეშე დარჩენილი მასწავლებელნი.** გახათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა გადაიდოს მის განკარგულებაში ასი ათასი მან. შტატს გარეშე მასწავლებელთა და მოსამსახურეთა სალიკვიდაციოდ.

— ყოფილი სათავად-აზნაურო. ქართული გიმნაზია. განათლების სამინისტრო შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა გადადებულ იქნას ოცი ათასი მანეთი ყოფილ ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

◆ **დანიშვნა.** ტფილისის ქალთა მეექვსე გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა მასწავლებელი გრ. ლორთქიფანიძე.

◆ **მკვლელობა.** სექტემბრის 29-ს ღამით ბოროტ-გამზრახველებმა მოჰკლეს ტფილისის. საარტილერიო საწყობის დარაჯი.

◆ **ქურდობა.** სექტემბრის 29-ს ღამით ფილაროვის სახლიდან (ელისაბედის ქუჩა № 68) ბოროტ-მოქმედებმა წაიღეს 16 ათასი მანეთი რუსული ფული, 30 ათასი მანეთის ბონები, ოთხი რევოლვერი და სხვა და სხვა საქონელი: სულ 134 მანეთის ფული და საქონელი.

◆ **საგანგებო სასამართლოში.** საქართველოს განგებო სასამართლოს თავმჯდომარედ მთავრობამ დანიშნა ნაფიცი ვექილი ივანე ჯაფარიძე. ამხანაგად საოლქო სასამართლოს წევრი კარასიოვი, ბრალმდებლად ტფილისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი ვასილინი და მის ამხანაგად მელ. კანდელაკი. წევრებად: ქრ. რაჭველიშვილი, დ. ტატიშვილი, ს. ჯიბლაძე, ილ, ბადრიძე.

◆ **დანიშვნა.** ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საერთო საქმეთა დეპარტამენტის უფროსი ზურაბ მაჩაბელი დაინიშნა საგარეო საქმეთა სამინისტროს დირექტორად.

◆ **დაპატიმრება.** მიწათ-მოქმედების მინისტრმა აცნობა საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ აბასთუმანის ქონების მიმღებ რწმუნებული იოსელიანი და მისი 15 თანაშემწე ერთ კვირის წინად აწყურიდან 7 ვერსის მანძილზე დააპატიმრეს ოსმალებმა მიუხედავად იმისა. რომ აბდულ ქერიმ-ფაშას ნებართვა ჰქონდათ აბასთუმანში წასასვლელად. საგარეო საქმეთა მინისტრმა სთხოვა აბდულ ქერიმ-ფაშას, რომ მიიღოს შესაფერი ზომები ხსენებულ პირთა განთავისუფლებლად.

სასწავლებლებში.

◆ **ბუჰგალტერთა კურსები.** ამ დღეებში ტფილისში მიხეილის პროსპ. № 132, გაიხსნება ბუჰგალტერთა კურსები, რომელიც ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დაექვემდებარება.

◆ **სტუდენტების თხოვნა.** ქართველ სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა სთხოვა განათლების მინისტრს რათა მთავრობამ შუამდგომლობა აღძრას გერმანიის დელეგაციის წინაშე 100 ქართველ სტუდენტს ნებართვა მისცეს დაუბრკოლებლივ გერმანიაში გამგზავრებისა უმაღლეს სწავლის მისაღებად.

სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში ლექციების კითხვის დაწყება

დღეს, 1 ოქტომბერს, სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში (ვაგზლის ზევით), საღამოს 7 საათზე, მოხდება ამ წლის დასაწყისისთვის პირველი ლექციის დაწყება. [illegible] სნას დაესწრება ლექტორთა შემადგენლობა. შესავალ სიტყ ხალხო უნივერსიტეტის მნიშვნე და საერთოდ განათლების, შეძენის საჭიროებაზე სიტყვას სთქვამს ილ. ნაკაშიძე და გ წაიკითხავს ლექციას: „მსოფლიო რიის შესავალზე“.

უნდა აღინიშნოს, რომ წელს ალმოჩნდა ქართულად ლექციების თხველთა მსურველნი. ყველა მსურ არ აქვთ საშუალება ლექციები წა ხონ, მაგრამ მომავალ შაბათს საღამ შემუშავდება ლექტორთა სია. ჯერობით—კი ლექციებს წაიკით შემდეგი ლექტორები: მ არსენიძე: ციალიზმის ისტორია, ილ. ნაკაშ ევროპიულ ხალხთა ცხოვრება და ლობა (ბუნდოვანი სურათებით), თაძე: მსოფლიო ისტორიის შეს სერ. ჟორჟოლიანი: ქართული ლი ტურის ისტორია, პოლიტიკური ეკონ მია და უფლების ისტორია, ხუციშვილ მსოფლიო ისტორია. კალ. ქავთარაძ ფიზიკა, დეკანოზიშვილი: ასტრონომ უნივერსიტეტის პროგრამა თანდათ შეივსება და მომავალში მოწესრიგდ დანარჩენ საგანთა შესახებ ლექციებ კითხვა.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ხუთშაბათს 5 საათზე პარტიულ ბ როში დანიშნულია ახალგაზრდა ს ციალისტ ფედერალისტთა ქალ-ვაჟ საერთო კრება ფრიად საჭირო ს თხების განსახილველად. ამხანაგ ვსთხოვთ ამ კრებას აუცილებლად და წრონ.

—

მუშათა კავშირის გამგეობის კრ სამშაბათს, 1 ოქტომბერს საღ. 6 სა დანიშნულია სოც. ფედ. მუშათა კავ რის გამგეობის კრება. ამხ. ვს ნუ დაიგვიანებენ.

—

ქალთა კრება. სამშაბათს, 1 ოქ ბერს საღამოს სრულ 6 საათზედ შნულია ამხ ქალთა კრება პარ ბიუროში ლორის-მელიქოვის ქ. №

—

საქ სოც-ფედ სარევ. პარტიი მხედრო საბჭო აცხადებს, რომ ყ ნებართვა რევოლვერის ტარებისა, ცემული მებრძოლთა რაზმის წევრ სათვის, ოქტომბრის 3-დან გაუქმებ ლია. ნებართვა სამი ოქტომბრიდან მ ცემათ ახალი წესით საგანგებო კო სიის მიერ.

მთავრობის ცნობა

გიორგი ბაგრატიონ დავითაშვილის სხვათა დაჭერის შესახებ.

(შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან)

„ჩემდამი რწმუნებულ სამინისტრ თან არსებულ განსაკუთრებულ რ არა ერთხელ მოსულია ცნობა, ზო თი ყოფილი თავადები და აზნ ყოფილ ტფილისის თავად-აზნაუ ნამძღოლის გიორგი ბაგრატიო თაშვილის ბინაზე ფარულ ე მართავენო.

თათბირზე იხილავდნენ საკითხ როგორ აელოთ გორის მაზრის ბიდან წარსული წლების ღალა ზარალი, რომელიც მათ მიაყენეს ხებმა რევოლიუციის დაწყებიდა. დაწყვეტილ იქნა მოეწყოთ მთავრ გან ფარულად აზნაურთა შეიარა ლი რაზმი, რომელსაც მიენდობოდ ლის შეკრება და ზარალის ანაზღა

ეს რაზმი უნდა მოწყობილიყო ურთა „შავი რაზმის“ დაგვარად, ლიც 1905 წელს გორის მაზრაში წოდა ცნობილ აბდუშელიშვილის მძღვანელობით.

ამ შეიარაღებულ რაზმის მო მონაწილეობას ღებულობდა ზ ის პირი, რომელსაც 1905 წლ რაზმის ორგანიზაციასთან დამ ლება ჰქონდა. ჩემი განკარ დაატუსაღეს: გიორგი, დავით ბაგრატიონ-დავითაშვილები, ივანე ბეგთაბეგიშვილები, დეკანოზიშვილი და იოსებ დავით ბაგრატიონ დავითაშ ტუსაღებისას, გაჩხრეკის საბუთთა შორის, აღმოჩნდა შავი ბარბალე დავ. ასულ დავითაშვილის სახელზე. ალ ქილობის ქაღალდში, სხვათ ნათქვამია, რომ ბარბ. ბაგრა თაშვილისა, ან მისი რწმუნ ვალდებულია შეკრიბოს [illegible] ქებული ზარალის გა

სანოვაგით (ნატურით)." შემდეგ ქვეშია: „მისი შრომის და ხარჯების ნაზღაურს ის ჩვენგან მიიღებს სამხედრო ძალით შეკრებილ თანხიდან".

აშკარაა, რომ „სამხედრო ძალა" გულისხმობს მათ მიერ მოწყობილ რაზმს. ამგვარად, განსაკუთრებული რაზმის არსებობამ ამ რწმუნებულების ქაღალდში, რომელიც ნათელს ჰფენს და ფარდას ხდის შეთქმულთა სულისკვეთებას, უტყუარი საბუთები ჰპოვა.

არა კანონიერად, ძალმომრეობით, მთავრობისაგან დაფარულად, გორის მაზრაში გლეხებისაგან ღალისა და ზარალის განაღდების მიზანი შეთქმულთა ჯგუფისა თავის დროზე გამოაშკარავდა და ამ რიგად სათავეშივე აღმოფხვრილ და ჩაკლულ იქნა, ერთის მხრივ, ზემოღნიშნულ ჯგუფის ბოროტი ზრახვანი და, მეორეს მხრივ, გორის მაზრის გლეხებისაგან მოსალოდნელი ექსცესები, ვინაიდან გლეხები, ცხადია, ამ არა კანონიერ რაზმს იარაღითვე წინააღმდეგობას გაუწევდნენ.

გორის მაზრაში ანარქიის მოსპობის და მშვიდობიანობის დამყარების დროს, ხსენებული შეთქმულთა ჯგუფი საქართველოს რესპუბლიკას ახალ ანარქიულ გამოსვლებს უმზადებდა".

მიწის ნორმა და სამეურნეო კულტურა

(გ. წერეთლის წერილის გამო „კლდე" № 2.)

გაზეთ „კლდის" მეორე ნომრის ფურცლებზე ბ-ნი გ. წერეთელი, ეხება რა მიწის დეკრეტს, გადაჭრით აცხადებს, რომ ყოვლად შეუძლებელია ასეთ პატარა მიწის ნაჭერზე კულტურულ და ინტენსიურ მეურნეობის მოწყობაო და თუ ასეთ წვრილ მეურნეობათ დავყავით ჩვენი მამულები ჩვენი ქვეყანა, მეურნეობის მხრივ დაიღუპებაო. ბ-ნებო მარტო ამის განცხადება არა კმარა; ეს მარტო სიტყვებია, რომელსაც თან არ ახლავს, არავითარი ფაქტიური სიმართლე არც ჩვენი და არც უცხო ქვეყნების სამეურნეო ცხოვრებიდან.

მართალია ავტორი ამბობს, მარქსიც იმ აზრისა იყო, რომ წვრილი მეურნეობას მომავალი არა აქვსო, მაგრამ რატომ ისიც არ იცის ბ-ნმა წერეთელმა, რომ მარქსის დებულება ამ საკითხის შესახებ საბოლოოდ დაამარცხა ცხოვრებამ და სამუდამოდ დაასამარეს ამ სამეურნეო ცხოვრების საუკეთესო ანალიტიკებმა, როგორიც არიან გერმანელნი ჰერცი და არმაგენი, უფრო გვიან დავიდი და ზომბარტი, იტალიელნი ვირდჟილი და მატტი, რუსნი ბულგაკოვი და ლევიტსკი და სხვანი. მარქსი შესცდა მით, რომ ისე ვერ დაახასიათა სოფლის მეურნეობა, როგორც დავიდმა, რომელმაც საუცხოო ძირითადი ფორმულა იპოვა: „სარეწავი (промышленное) წარმოება მექანიკური პროცესია, სასოფლო სამეურნეო კი ორგანიული". აი, ამ ძირითადმა თვისებამ სულ სხვა გზით წაიყვანა სოფლის მეურნეობა, ვიდრე მრეწველობა. ამიტომ ჩვენ თუ მრეწველობაში კონცენტრაციას ვხედავთ, სოფლის მეურნეობაში პირიქით დანაწილება და მსხვილი მეურნეობის რღვევაა. ამ პროცესს ხელი შეუწყო კოოპერაციამ, რადგან მან წვრილი მეურნესათვის ხელმისაწდომი გახადა ყოველივე ის, რაც წინედ მხოლოდ მსხვილ მეურნეობას შეეძლო: სამუშაო იარაღები, მანქანები, შორეული ბაზარი, ტრანსპორტი, სასუქების სხვა და სხვა გვარი და სხვა. ამასთან ერთად ცხოვრება ჩვენ გვიმტკიცებს, თუ კი ჩაიხედავთ სხვა და სხვა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების და სტატისტიკურ ცნობების დავთრებში, *) რომ მუშის ხელის გაძვირებით მსხვილი მეურნეობა იძულებული [illegible] თავის თავისათვის ლიკვიდაცია [illegible] წვრილი მეურნეობისათვის დაეთმო, სადაც მუშა თვით მეურნე იქმნებოდა. ტყუილა ჰგონია ბ-ნ წერეთელს, თუ ჩვენი მეურნეობა დანაწილდა, მაშინ ცალ-ცალკე მეურნეობის იზოლიაცია მოხდება და საერთო სამეურნეო ცხოვრებას მოსწყდება. ამას კოოპერატივი და თვით მეურნის ინტერესები არ იზამს. ავტორი ამბობს „ხსენებულმა მიწის დეკრეტმა მიწის მოქმედებს კაპიტალი და მეცნიერება ჩამოაშორა და მით სამეურნეო კულტურა გაანადგურა. მაშასადამე თუ შვიდ დესეტინიანი ნორმა ძალაში დარჩება, ქვეყანა გაველურდება". წვრილი მეურნეობა ერებას და კაპიტალს (ტეხნიკას) ორებულიაო, რომ სთქვა, დიდი უვიცობაა. სამეურნეო ტეხნიკა, კულტურა და მეცნიერება ძლიერ დაკავშირებულია ერთმანეთთან.

ამიტომ მოფიქრებით და ფრთხილად უნდა მსჯელობა და რიხიანი განცხადება შეუძლებელია ისე დიდ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის მიწის და მეურნეობის საკითხი და მეცნიერება. პირიქით, ჩვენ უფრო ბევრი საბუთები გვაქვს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან, რომ, თუ მიწა ჩამოერთმევით ჩვენს მემამულე თავად-აზნაურობას, რომელნიც არამთუ არ ეწევიან კულტურულ მეურნეობას, არამედ ანადგურებენ ბუნებრივ სიმდიდრესაც, რომელიც მათ მამულში ხშირად უხვად არის მიმობნეული, ჩვენ ამით მიწას პატრონს უპოვით და მოქმედების ფერხულში ჩავაბამთ. თუ კი ისეთი დიდმნიშვნელოვანი, კულტურულად მოწყობილი მამულია, რომელიც იშვიათი და ძვირფასია, ბ-ნმა წერეთელმა ალბად იცის, რომ დეკრეტის ძალით მას ისე ბარბაროსულად არ ანგრევენ, როგორც თვით მოგვითხრობს, ვით ზღაპარს, თითქოს ჩვენც იმ ქვეყნისა არ ვიყოთ, სადაც თვით ბ-ნი წერეთელი სცხოვრობს.

მაგრამ ავტორს ეს კი არ აწუხებს. ძაღლის თავი სხვაგან ჰმარხია და თვით ავტორი ვერ მალავს ამას:

„სახელმწიფოს ნება აქვს ადრეთვე ჩამოართვას მიწის შესყიდვით მამული"-ო. ამ შემთხვევაში, ბ-ნებო, ალბად წვრილი მეურნეობაც აყვავდება??

და ჩვენი ქვეყნისათვისაც წვრილი მეურნეობა არ იქნება სახიფათო?!

აი, თურმე რისთვის ვმღერით „ჩვენ", როცა დეკრეტს ვიწუნებთ!!!

ჯვ. იოსელიანი.

უნდ ჰგუსტავ ფიშერის წერილე-

გზა და გზა.

ამბოხების შემდეგ დუშეთის მაზრაში მიმოსვლა ძლიერ გაჭირვებულია. ჯერ ვერაფერს იშოვნით სამოგზაუროდ და, თუ იშოვეთ რამე ეტლის მსგავსი, მეეტლე თითქმის ტყავს გაძრობს. ორი კაცი ვიყავით მცხეთიდან დუშეთამდის მიმავალი—სულ 32 ვ. მეეტლემ ორასი მანეთი გვთხოვა—ჩვენ ამდენი არ მოგვეპოვებოდა და იძულებული ვიყავით ფეხით წავსულიყავით დუშეთამდი. მხოლოდ მარტო მგზავრებს არ მოსდით ასეთი საქმე. ფოსტა სრულიად მოუწესრიგებელია, თვეში ორჯერ ან სამჯერ თუ მიიღებს ადამიანი რასმე, თორემ ეს მაზრა სრულიად მოწყვეტილია დანარჩენ მხარეს.

არ არსებობს არავითარი საშუალება სულიერი დაკმაყოფილებისა; არავითარი გაზეთი არ მოდის და არც სხვა რამე კულტურულ საზრდოს მიიღებთ ამ უზარმაზარს მაზრაში. დუშეთში ამოსულებს მე და ჩემ ამხანაგს სხვა და სხვა მხარეებისკენ გვქონდა გადაწყვეტილი წასვლა, და წარმოიდგინეთ ოთხი დღე აქაც დაგვჭირდა ცდა, რომ ეტლის მსგავსი რამ გვეშოვა. როგორც იქნა ვიშოვეთ, ერთ საცოდავ „ბრიჩკაზე" ადგილი ჩემს ნაცნობ ფასანაურისკენ. მივედი ფასანაურში, გზაში რომ მივდიოდი, ვერ წარმოიდგენდი, თუ ფასანაური ზაფხულობით ასეთი ლამაზი იქნებოდა. შარშან ზამთარში ვიყავი იქ და ვერაფერი სასიამოვნო სანახავი გახლდათ დაბა; გაჭიტვლებული მთები დაჰყურებდა მას თავზე, რომელთა შეხედვა მწუხარებას მოგვგვრიდა ხოლმე. ახლა კი სულ სხვაა. ხშირი ტყით დაფარული მთები გადმოჰყურებ ფასანაურზე, კოპწია ბაღები და მშვენიერი ჰაერი.

ფასანაური შესანიშნავია მით რომ აქ მის შესავალში არაგვი იყოფა ორ ნაწილად: შავი არაგვი, რომელიც ჩამოდის გუდამაყრის ხეობიდან და თეთრი არაგვი, რომელიც ასდევს სამხედრო გზას გუდაურამდი: ფასანაური ეკონომიური ცენტრია მთელი ქვემო მთიულეთისა და გუდამაყრის ხეობისა. ხალხს აქ ჩამოაქვს რაც რამე გასაყიდი აბადია—ყველი, მატყლი (ეს დიდძალი მიდის ტფილისისკენ) ერბო, კარაქი და სხვ. ხალხი ყიდულობს ყოველნაირ ფაბრიკას და პურს, რადგან მთებში საყოფი ხორბლეულობა არ მოსდით.

აქ, აგვისტოს 28-ს მოვედი. გამოგზავნილი ვარ კერძოდ ერობაზე სამუშაოდ. ვხედავ, ხალხი რაღაც ფაცა-ფუცშია, სადღაც ემზადება. ვნახე ნაცნობები, რომელთაც ჩემი იქ ასვლის მიზანი უთხარი და მეუბნებიან: „ჯერ აქ არაფერი გაკეთდება, რადგან გუდამაყრში „პირიგზის" თამარ მეფის სახელობაზე ხატობაა და ხალხი სამი დღის განმავლობაში სულ დღესასწაულზე იქნებაო: იქ, ხატობაზე, ვიფიქრე წასვლა, მაგრამ რადგან სიმთვრალეს ადგილი ექნებოდა იქ, ამიტომ ხევისკენ გავემგზავრე მეორე დღეს ფურგონით.

ფურგონის პატრონები მოხევეები არიან, ძლიერ მიხარია რომ მათთან მიხდება მგზავრობა და საშუალება მეძლევა გავეცნო მოხევის სულიერ მდგომარეობას, მაგრამ ჩემი თანამგზავრები, რიცხვით 6 კაცი, შეზარხოშებული არიან და ცოტაც მისთვლიმეს ფურგონში. ცხენები მე მომყავს. შეძლება მაქვს გზა ვათვალიერო: მშვენიერი გზატკეცილი მიიკლაკნება თეთრად გველივით მთებში. გარშემო მუშაობაა, ხალხი მკის ქერსა, სხვა ხორბლეულობა არ მოდის სიცივის გამო, და შორს მაღლა, მაღლა მთებში ძლივს შევამჩნევთ მთიბავებს, ისეთ სიმაღლეზე სთიბენ, რომ ჩვენთვის, ბარელებისთვის წარმოუდგენელია თივის იქიდან ჩამოტანა, და, მართლაც, ჯერ არ ჩამოაქვთ მაღლობებიდან თივა. თოვლის დროს უფრო ადვილია და მაშინ ჩამოიტანენ თურმე.

თვით გზა კი გაჭედილია ხატობაზე მიმავალი მგზავრებით. მიდის უმრავი ხალხი: დიდი და პატარა, ხშირად შეხვდებით დედაკაცს ცხენზე მჯდარს, რომელსაც ერთი ბავში ხელში უჭირავს, მეორეც უკან უზის. ცხენს ხურჯინი და შიდ ცხვრები არიან ჩასმულნი. მამაკაცები კი სრულიად თავისუფალი სხედან ცხენზე და ერთმანეთის გაჯიბრებით დააჭენებენ ცხენებს. ამასგარდა დატვირთულია ურმები გამომცხვარი პურით, არაყითა და ღვინით, მიჰყავთ დასაკლავად ახალ გაზდა დაუკოდავი ხარები. როცა გამისწორდებიან პირველნი მიძახიან „შეწევნა ხატისა" და ზოგი სინანულს გამოსთქვამს, რომ არაყი თან არ მოსდევს, რომ მასვან

ამას რომ უყურებ, მაგონდება ყაზბეგის მიერ დახასიათებული მთიელები და მათი სამშობლოს გულისთვის თავდადება.

ვადარებ ახლანდელ ხალხს მათ და ვფიქრობ—რა ძირითადი განსხვავებაა მის სულიერ განწყობილებაში საუკუნის წინად ეს ხალხი სამკვდრო. საცოცხლო ომს უცხადებდა უცხოელების ჩამოსვლას და ახლა კი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ისინი ჩვენს სამშობლოში შემოეყვანათ. რამ შესცვალა ჩვენი ხალხის ბუნება ასე, რამ დაუკარგა თავისუფლების პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული? ამ დროს ჩემ თანამგზავრებს გამოეღვიძათ და ისინი ერთნაირად მომეხმარენ ამ კითხვების ახსნაში: მათ მკითხეს, თუ სად ან რისთვის მივდიოდი. მე ვუპასუხე და ვკითხე, ახლა ხომ დარწმუნებული ხართ რომ, როგორც ბოლშევიკები გელაპარაკებოდნენ ბატონყმური მთავრობაო, ტყუილი გამოდგა?

— კი შენი ჭირიმე მოგვატყუეს, შეგვაცდინეს, მაგრამ მაინცა და მაინც ჩვენ ბევრი ბრალი არა გვაქვს. ბოლო დრომდი სულ მას გვეუბნებოდნენ—მუშას სამშობლო არა აქვსო, ავტონომია ბატონყმობაო, თუ რუსეთი არ გვეყოლა შიმშილით დავიხოცებითო და რა ჩვენი ბრალია, როცა რუსეთს ჩამოვშორდით, რომ მოვტყუვდით და ბოლნიკებს დაუჯერეთო... და მართალიცაა.

შემდეგ ბევრი ვილაპარაკეთ თანამედროვე მომენტზე მობაასენი გულმოდგინედ მისმენდნენ. მთხოვეს ამეხსნა სოციალიზმი და მეთქვა მიწის მუშის მომხრეს რა ჰქვია.

მე აუხსენი შეძლებისამებრ მათ ყველა საკითხი, განუმარტე პროგრამები, განსაკუთრებით ყურადღება მიაქციეს მიწის საკითხს და კარგად გაგების შემდეგ მითხრეს: თქვენ ფედერალისტებს უფრო კარგად გქონიათ დადგენილი—გლეხი მიწას თავის დღეში ვერ იყიდის. განა რომ შეგვეძლებოდა აქამდის ვერ ვიყიდდით. მთხოვეს: „შენი ჭირიმე ჩაგვწერე შენს პარტიაში". ვუთხარ თქვენს სოფელში მოვალ და იქ ჩაგწერთ. ესენი იყვნენ ს. სინიდან, ცხის ძირიდან და სტეფ ნ-წმინდიდან.

დაღამებისას მლეთში მივედით და ღამე იქ გავათიეთ.

პარ-ყარი.

სოციალისტი კოლეგიელის როლში.

დეკემბრის 25-ს ერთი საშინელების მოწმე გავხდი: დილის 6 საათი იქნებოდა, როცა ია[illegible] ტორიკაშვილს ერთი სოფლელი გლეხი დაეჭირა და მუჯლუგუნებით მიათრევდა, მათი პარტიულ პირველ რაიონის შტაბისკენ; მიიყვანა შტაბთან, იქიდანაც ორი შეიარაღებული შემოეგება, და მათი დახმარებით შეაგდო შტაბში, იქ მუჯლუგუნებს აღარ დააკლერა, გამოართვა ხელიდან სახრე, რომელსაც ჩვეულებრივ სოფლელები ატარებენ ხოლმე, და შეუბრალებლად სცემდა, ცხვირსა და პირში; ცხვირ-პირ დასისხლიანებული მწარედ ჰყვიროდა: მიშველეთ, არ ვიცოდი თქვენ თუ გვარდიელების (გვარდიელების) უფროსი იყავი, თორემ უბატონოდ ხმას არ გავცემდიო. საქმე შემდეგში ყოფილიყო: ტორიკაშვილი გლეხისგან რაღაცას ყიდულობდა, მაგრამ გლეხს საუბედუროდ უდიერი სიტყვა წამოსცდენოდა, რომელსაც აღარავითარმა ბოდიშის მოხდამ, აღარ უშველა; ბ. ტორიკაშვილის მოქმედება ძველი რეჟიმის ნამდვილი სურათია. არა სასურველია დემოკრატიის წარმომადგენლისგან, ასეთი საქციელი ძალიან აქვეითებს მთავრობის პრესტიჟს სოფლის ხალხში, ასე შეუბრალებლად არ უნდა მოექცეს უვიც გლეხს, თუ ის ნამდვილი სოციალისტია და ესმის ადამიანობა.

მუშა ეგ. ნავარძელი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი შ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი მ. მ. მეჰრაბიანცი ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა ჭლექი და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით, თავის დუშის ვენის [illegible], დიდი სოლიანოიდი, განსაკუთრებული საკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

ექიმი ა. მ. ლევენშტეინის კაბინეტები წამლობა რენტგენის სხივებით და ელექტრონით. მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულებით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჭების ავადმყოფობა. ავადმყ. მიიღ. 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ. 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-სახაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ყოფნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

ექიმმა დიასამიძემ განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 საღ. 5—6 კვირის გარდა. ოლღას ქუჩა 15 ტელ 18—03. 2010

ექიმი ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული სამარდე ორგანოების, სიფილისის (შეხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოვბ" პირდაპირ № 3 1304

ექიმი ნ. დ. ტურაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) დებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, სახსრების და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვრის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი დ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 1290

ექიმი მ. მ. მიშველაძე ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულობით. 3 საათიდან ნაშუადღევის 5½ საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, [illegible] ქ. № 19. 992

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ჩულუქიძე. განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ქირურგიულ ავადმყოფების მიღება: დილის 10-დან 11 საათამდე და საღამოს 5-დან—6-დე. ბორჯომის ქ. № 3, ტელ. 11—35. 2001

ექიმი ი. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ № 26. ტელ. 5—86. 1270

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლებით ექიმ დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). ძნელე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 6[illegible]0

ექიმ ნავასარდიანის კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606" და „914" 11—12 ს.

ა. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. ნ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.

მ. მ. ხენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ს. გ. ავეტიხიანი—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი:

ა. ნ. ისაკიანი: 6—7½ ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო

ექ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის

სპეციალისტ ექიმებისა

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე

ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.

ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.

გ. მ. რეკვავა შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.

ხმ. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.

სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა ექ. მ. მ. ტყემალაძე.

მისამართი: ერეკლეს ქ. № 6 ვეზირხოსის მოედანთან.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. 2019

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარ.-და

პირველი ქართული ბუხჰალტერიის კურსები

ორივე სქესისთვის წლოვანობის განურჩევლად

ალ. გ. სათაშვილისა

ბუხჰალტერიის სწავლა, კანტორის საქმის ცოდნა და სხვა კომერციული საგნების შეთვისება მოწყობილია პრაქტიკულად. ახალი მეთოდით 4 თვიანი კურსის შესწავლა შეიძლება 3 თვეში. წესდების გაგება და ჩაწერა კურსებზე ყოველდღე შეიძლება დილის 9—2 საათამდე და 5—8 საათამდე. მისამართი, დუშეთის ქუჩა, სახ. № 9 (წყნეთის ქუჩასთან ახლოს 1-ლი უბ ვაის ვაგონი № 5 და 9.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე" ზარ